პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 232 (10929) | სამშაბათი, 1 ოქტომბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

# პარტიული განათლება ახალ სასწავლო წელს

დღეს განახლდება მეცადინეობა პარტიული განათლების სისტემაში. ახალი სასწავლო წლის დაწყება ემთხვევა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის მზადებას. საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები. საბჭოთა საზოგადოება მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმის გზით. ამ გზას გვინათებს დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, რომელიც ჩვენი პარტიის პოლიტიკის, სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძველია.

საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნა წარმოადგენს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლების, პარტიული მასების შემდგომი აქტივიზაციის აუცილებელ პირობას. იგი შესაძლებლობას აძლევს ჩვენს მშრომელებს უფრო სწრაფად და წარმატებით გადაჭრან მათ წინაშე მდგომი ამოცანები.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა გასულ სასწავლო წელს განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი პოლიტიკური განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. განმტკიცდა პროპაგანდის კავშირი პრაქტიკულ ამოცანებთან, ცხოვრებასთან, გაფართოვდა კადრების ეკონომიური განათლება, გაიზარდა მშრომელთა ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის აქტუალური პრობლემებისადმი, პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი.

მაგრამ, როგორც გამოცდილებამ ცხადყო, ჯერ კიდევ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში მთლიანად არ არის აღმოფხვრილი წინათ არსებული ნაკლოვანებანი. ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ სასწავლო წლის დაწყების შემდეგ შეასუსტა ყურადღება პოლიტიკური განათლების ხელმძღვანელობისადმი, მისი იდეური შინაარსისადმი. მაგალითად, ქუთაისის მეორე რკინიგზის სადგურის პარტორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი გ. ამაშუკელი) სუსტად უწევდა კონტროლს სწავლების მიმდინარეობას, არ იჩენდა მომთხოვნელობას, პოლიტსწავლებაში მიზიდული არ იყო უპარტიო აქტივი. იშვიათად ეწყობოდა ლექცია-მოხსენებები, კონსულტაციები წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის. ეკონომიურ წრეებსა და სემინარებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა თეორიის საკითხებს.

კადრების ეკონომიური განათლებით შეიარაღება დიდმნიშვნელოვანი საქმეა. მას ახალ სასწავლო წელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. მაგრამ საჭიროა ლიკვიდირებულ იქნას ზოგიერთ წრესა და სემინარში არსებული მავნე პრაქტიკა, როცა მეცადინეობაზე განიხილავდნენ მხოლოდ ვიწრო პრაქტიკულ საკითხებს, არ უკავშირებდნენ მას მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიურ თეორიას, ამიტომ მეცადინეობა საწარმოო თათბირებს მოგვაგონებდა. ასე იყო, მაგალითად, თბილისის სამოდელო ფაბრიკის პარტორგანიზაციასთან არსებულ მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელ წრეში. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ თეორიის უგულებელყოფა უცხოა კომუნისტებისათვის, მას მივყავართ იდეურობის დაკარგვასთან, ჩვენი განვითარების პერსპექტივების დაკარგვასთან. აუცილებელია, რომ ჩვენი კადრები განუწყვეტლივ მუშაობდნენ თავიანთი იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად. პარტია მოითხოვს მარქსიზმ-ლენინიზმის როგორც ერთიანი, მთლიანი მოძღვრების შესწავლას. პარტიული პროპაგანდის მთავარი ამოცანაა შევაიარაღოთ კომუნისტები მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, საზოგადოების განვითარების კანონების, კომუნიზმის მშენებლობის კანონების ცოდნით.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება საქართველოს პარტორგანიზაციებმა ძირითადად კარგად ჩაატარეს. მნიშვნელოვნად იზრდება პოლიტსკოლების, წრეებისა და სემინარების რიცხვი, სერიოზული ყურადღება მიექცა პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას, მათ სათანადოდ მომზადებას. პროპაგანდისტებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, საოლქო კომიტეტებთან და თბილისის საქალაქო კომიტეტთან მოეწყო ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები.

ახლა ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ ყოველივე ძვირფასი, დადებითი პარტიული განათლების სისტემაში, გავხადოთ იგი უფრო ქმედითი, უფრო მიზანდასახული.

როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 21 აგვისტოს დადგენილებაშია აღნიშნული, პარტიული განათლება მოწოდებულია ახსნას კავშირი საბჭოთა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებისა კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანებთან, კიდევ უფრო აამაღლოს კომუნისტების და მთელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აქტივობა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა წარმართონ თავიანთი მუშაობა, რომ რაც შეიძლება უფრო სრულად დააკმაყოფილონ კომუნისტების იდეური მოთხოვნები და ხელი შეუწყონ იმ უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დგას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე.

ეს დიდად არის დამოკიდებული თვით პროპაგანდისტზე. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა შეუნელებლად ზრუნავდნენ პროპაგანდისტის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე, რომ პროპაგანდისტული მუშაობა ატარებდეს შემოქმედებითს ხასიათს, მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან, ზრდიდეს, იდეოლოგიურად აწრთობდეს კადრებს.

ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში უნდა გახდეს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის, კომუნისტების იდეურ-თეორიული აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების წელი.

პარტიული განათლების მთელ სისტემაში სწავლას იწყებენ თანამედროვეობის უდიდესი პოლიტიკური ძალის დოკუმენტის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული თეზისების „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის“ შესწავლით. ამ დოკუმენტში ახსნილია სსრ კავშირში განხორციელებულ ძირეულ სოციალ-ეკონომიურ გარდაქმნათა არსი. პროპაგანდისტების, წრეებისა და სემინარების ხელმძღვანელების წინაშე უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — ღრმად და ყოველმხრივ გააშუქონ ეს დოკუმენტი, გაუკეთონ ღრმა ანალიზი სსრ კავშირში 40 წლის მანძილზე განხორციელებულ უდიდეს გარდაქმნებს.

ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებს. მათი მოვალეობაა ყოველმხრივ დაეხმარონ პროპაგანდისტებს, კომუნისტებს, სისტემატურად ჩაატარონ ლექციები, კონსულტაციები, გასაუბრებები, თეორიული კონფერენციები, თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა გამოცდილების გაზიარების მიზნით მოაწყონ საუბრები, გახდნენ პარტიული განათლების ნამდვილი ცენტრები.

ლენინური კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა, ახალგაზრდობის იდეოლოგიურად გამოწრთობა შესაძლებელია მათი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღების გზით. ამიტომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ კომკავშირულ პოლიტგანათლების ქსელს ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებასა და წარმართვაში.

მარქსიზმ-ლენინიზმი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მძლავრი იარაღია. შევისწავლოთ იგი ღრმად, საფუძვლიანად, შემოქმედებითად — აი ის ამოცანა, რომელიც დგას პარტიული ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის წინაშე.

## დ ე პ ე შ ა

### ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს

### სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ლიუ შაო-ცის

### ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის

პეკინი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის VIII წლისთავის დღეს საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სახელით თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, და თქვენი სახით მთელ მოძმე ჩინელ ხალხს, ჩინეთის სახელოვან კომუნისტურ პარტიასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გიგზავნით უაღრესად გულითად მოლოცვას და გულწრფელად გისურვებთ ახალ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში.

ჩინელი ხალხი ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ხვდება დიდი გამარჯვებებით სოციალიზმისთვის ბრძოლაში. სწრაფი ტემპით ვითარდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, წარმატებით მთავრდება პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულება. გადამწყვეტი ბრძოლა მემარჯვენე, ანტისოციალისტური ელემენტების წინააღმდეგ კიდევ უფრო განამტკიცებს პროლეტარიატის დიქტატურას და ამაღლებს მთელი ხალხის პოლიტიკურ შეგნებულობას.

ჩვენი დროის ამბები კვლავ ხაზს უსვამენ იმას, რომ ამაღლდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტი და მის დიდ გავლენას საერთაშორისო პოლიტიკაზე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თანმიმდევრულად იბრძვის კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ჩაგრული ხალხების სრული ეროვნული განთავისუფლებისათვის. იგი განუხრელად იჩენს კეთილ ნებას ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობისადმი მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა.

საბჭოთა ხალხი უდიდესი სიხარულით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ძმური მეგობრობა წლითიწლობით მტკიცდება და ვითარდება. ჩვენი მეგობრობა სოციალისტური ბანაკის ძალისა და ძლიერების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მის ბრძოლაში მშვიდობისა და პროგრესისათვის. ამასთანავე იგი შესანიშნავი მაგალითია ორი ხალხის ძმური თანამშრომლობისა ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

დიდება სოციალიზმის მშენებელ დიდ ჩინელ ხალხს!

მხურვალე ძმური სალამი ჩინეთის კომუნისტურ პარტიასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, რომლებსაც სოციალისტური გზით მიჰყავთ ექვსასმილიონიანი ხალხი!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მარადიული, ურღვევი მეგობრობა!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ხრუშჩოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბულგანინი

მოსკოვი, კრემლი. 1957 წლის 30 სექტემბერი.

## დ ე პ ე შ ა

### ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის

პეკინი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის VIII წლისთავის გამო ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგო ჯოუ ენ-ლაი, გადმოგცეთ მხურვალე მოლოცვა. გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენს მუშაობაში და აყვავებას მოძმე ჩინელ ხალხს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გრომიკო

1957 წლის 30 სექტემბერი.

# წ ე რ ი ლ ე ბ ი ს გ ა ც ვ ლ ა

## სსრ კავშირისა და ინდოეთის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის

ინდოეთის დამოუკიდებლობის 10 წლისთავის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ამა წლის 14 აგვისტოს მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს ინდოეთის პრეზიდენტს რ. პრასადს და ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ჯ. ნერუს.

ინდოეთის პრეზიდენტის რ. პრასადისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუსაგან მიღებულია საპასუხო წერილები.

ქვემოთ ქვეყნდება მისალოცი დეპეშებისა და საპასუხო წერილების ტექსტები.

### მის აღმატებულებას ბატონ რაჯენდრა პრასადს, ინდოეთის პრეზიდენტს

დელი

ინდოეთის დამოუკიდებლობის ათი წლისთავის გამო ნება მიბოძეთ, ბატონო პრეზიდენტო, საბჭოთა ხალხის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემი სახელით უაღრესად მხურვალე სალამი და მოლოცვა გადმოგცეთ ინდოელ ხალხს და პირადად თქვენ.

საბჭოთა ხალხი უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ გმირი ინდოელი ხალხის მრავალი წლის ბრძოლა უცხოელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ დაგვირგვინდა 1947 წლის 15 აგვისტოს დამოუკიდებელი ინდოეთის სახელმწიფოს შექმნით.

ნება მიბოძეთ აღგითქვათ, რომ ინდოეთის პოლიტიკას, რომლის მიზანია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება, კვლავაც სრული გაგებით მოეკიდება და მხარს დაუჭერს საბჭოთა ხალხი.

ნება მიბოძეთ გულწრფელად ვისურვო ჩვენი ქვეყნების მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, ვუსურვო შემდგომი აყვავება ინდოეთის რესპუბლიკის ხალხს, აგრეთვე ბედნიერება და ჯანმრთელობა პირადად თქვენ.

კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მოსკოვი, კრემლი. 1957 წლის 14 აგვისტო.

### რაჯენდრა პრასადის საპასუხო წერილი კ. ე. ვოროშილოვისადმი

დიდ კმაყოფილებას განვიცდი, გიძღვნით რა თქვენ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა ხალხს მადლობას პირადად ჩემი და ინდოეთის ხალხის სახელით იმ თავაზიანი წერილისათვის, რომელშიც გამოთქმულია მოლოცვა და კეთილი სურვილები ინდოეთის დამოუკიდებლობის მეათე წლისთავის დღესასწაულის გამო.

რაჯენდრა პრასადი

### მის აღმატებულებას ბატონ ჯავაჰარლალ ნერუს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრს

დელი

ნება მიბოძეთ საბჭოთა ხალხისა და მთავრობის სახელით გულწრფელად მოგესალმოთ და მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით მეგობარ ინდოელ ხალხსა და ინდოეთის მთავრობას ინდოეთის დამოუკიდებლობის ათი წლისთავის დღესასწაულის გამო.

მთელი საბჭოთა ხალხი დიდი სიმპათიითა და აღტაცებით ადევნებდა თვალყურს ინდოელი ხალხის გმირულ განმათავისუფლებელ ბრძოლას თავისუფლებისათვის, რომლის წარმატებით დამთავრებაში ესოდენ თვალსაჩინო წვლილი შეიტანეთ პირადად თქვენ. ჩვენ გულწრფელად გვახარებს, რომ ინდოეთის რესპუბლიკა, რომელიც ახორციელებს მშვიდობის განმტკიცებისა და სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, სწრაფად იკრებს ძალღონეს და განამტკიცებს თავის დამოუკიდებლობას.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა იქნება ერთი იმ გადამწყვეტი ფაქტორთაგანი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში, რომლებზეც დამოკიდებულია კაცობრიობის შემდგომი პროგრესი.

მიიღეთ ჩემი გულითადი სალამი ინდოელი ხალხისადმი, აგრეთვე გისურვებთ წარმატებებსა და კეთილდღეობას პირადად თქვენ.

ნ. ბულგანინი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მოსკოვი, კრემლი. 1957 წლის 14 აგვისტო.

### ჯავაჰარლალ ნერუს საპასუხო წერილი ნ. ა. ბულგანინისადმი

გთხოვთ პირადად ჩემი, აგრეთვე ინდოეთის მთავრობისა და ხალხის სახელით მიიღოთ მადლობა თქვენი თავაზიანი წერილისათვის, რომელშიც გამოთქმულია მოლოცვა და კეთილი სურვილები ინდოეთის დამოუკიდებლობის მე-10 წლისთავის გამო. მე ვიზიარებ ამ წლისთავთან დაკავშირებით გამოთქმულ თქვენს მტკიცე რწმენას, რომ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა ემსახურება მსოფლიო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის ინტერესებს.

ჯავაჰარლალ ნერუ

### მის აღმატებულებას ბატონ ჯავაჰარლალ ნერუს ინდოეთის პრემიერ-მინისტრს

დელი

ნება მიბოძეთ ინდოელ ხალხსა და თქვენ, ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის გამოჩენილ მებრძოლს, გადმოგცეთ საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი მხურვალე მოლოცვა და სალამი ინდოეთის დამოუკიდებლობის ათი წლისთავის დღესასწაულის გამო.

ჩვენი ხალხი, ისევე როგორც მთელი პროგრესული კაცობრიობა, მუდამ თანაგრძნობითა და სიმპათიით ადევნებდა თვალყურს ინდოელი ხალხის თავდადებულ ბრძოლას კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციისათვის და დამოუკიდებელი ინდოეთის პროგრესისათვის. საბჭოთა ხალხს გულწრფელად ახარებს ის, რომ ინდოელი პატრიოტების მრავალი თაობის ბრძოლა თავიანთი უძველესი ქვეყნის აღორძინებისათვის დაგვირგვინდა 1947 წლის 15 აგვისტოს ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებით.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ხალხების დიადი მეგობრობა, რომელიც თავისუფლების, მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლის პროცესში გამოიჭედა, კვლავაც განმტკიცდება საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის ინტერესებისათვის.

გულწრფელად ვისურვებ დიდი ინდოეთის სახელმწიფოს შემდგომ განმტკიცებასა და აყვავებას, აგრეთვე გისურვებთ ახალ წარმატებებსა და ჯანმრთელობას პირადად თქვენ.

ნ. ხრუშჩოვი,

მოსკოვი. 1957 წლის 14 აგვისტო.

### ჯავაჰარლალ ნერუს საპასუხო წერილი ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

მადლობას გიძღვნით თქვენ და საბჭოთა კავშირის ხალხს თავაზიანი წერილისათვის, რომელშიც გამოთქმულია მოლოცვა და კეთილი სურვილები ინდოეთის დამოუკიდებლობის მე-10 წლისთავის გამო. ვიზიარებ ამ შემთხვევის გამო გამოთქმულ თქვენს აზრებს და თქვენთან ერთად გამოვთქვამ რწმენას, რომ ინდოეთის ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხის მეგობრობა მარადიული იქნება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ჯავაჰარლალ ნერუ

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ადიღეს ავტონომიური ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ადიღეელი ხალხის რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთების 400 წლისთავისა და სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ადიღეს ავტონომიური ოლქის წარმატებათა აღსანიშნავად ადიღეს ავტონომიური ოლქი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წლის 27 სექტემბერი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ყარაჩაი-ჩერქეზეთის ხალხების რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთების 400 წლისთავისა და სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის წარმატებათა აღსანიშნავად ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1957 წლის 27 სექტემბერი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში მოსწავლეთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში აქტიური მონაწილეობისა და 1957 წლის სსრ კავშირის მოსწავლეთა მეოთხე სპარტაკიადაზე მაღალი სპორტული მიღწევებისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ალადაშვილი** ირაკლი ლავრენტის-ძე — სპორტული დელეგაციის ექიმი,
2. **ბაბახანიძე** გერონტი ირაკლის-ძე — მწვრთნელი კალათბურთში,
3. **ბახუტაშვილი** ნოდარ ქაიხოსროს-ძე — მწვრთნელი ტანვარჯიშში,
4. **გაგუა** გრიგოლ ათანასეს-ძე — მწვრთნელი ფეხბურთში,
5. **გრომოვი** კონსტანტინე ტიმოთეს-ძე — მწვრთნელი ტანვარჯიშში,
6. **თავდიდიშვილი** ირაკლი დანიელის-ძე — მწვრთნელი ტანვარჯიშში,
7. **იმნაძე** მიხეილ ნიკოლოზის-ძე — ტანვარჯიშის სპორტული სკოლის დირექტორი,
8. **იოაკიმიდი** ლუკა ალექსანდრეს-ძე — მწვრთნელი ცურვაში,
9. **კიკალიძე** მიხეილ ერმილეს-ძე — მწვრთნელი კალათბურთში,
10. **მარგიშვილი** შოთა რაჟდენის-ძე — მწვრთნელი ფრენბურთში,
11. **მერკვილაძე** გიორგი ნოშრევანის-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგე,
12. **ტრანკაშვილი** შოთა გიორგის-ძე — მწვრთნელი მძლეოსნობაში,
13. **ფავლენიშვილი** დავით ლუარსაბის-ძე — კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი,
14. **ხანგულიანი** არამ გერასიმეს-ძე — მწვრთნელი ჩოგბურთში,
15. **ხერხეულიძე** თენგიზ დავითის-ძე — მწვრთნელი სროლაში,
16. **ჯონჯოლიანი** ველიკო ლაზარეს-ძე — მწვრთნელი ველოსპორტში,
17. **ჩაჩავა** ალექსანდრე მიტროფანეს-ძე — სოხუმის სპორტსკოლის დირექტორი,
18. **ჩაჩავა** როსტომ მიხეილის-ძე — მწვრთნელი წყალბურთში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1957 წლის 30 სექტემბერი.

## პოლიტიკურ-ეკონომიური ცნობარი „უცხო ქვეყნები“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა პოლიტიკურ-ეკონომიური ცნობარი „უცხო ქვეყნები“ ა. დენისოვის, დ. იგნატიევის, ნ. პალგუნოვის რედაქციით.

ცნობარი გათვალისწინებულია საბჭოთა მკითხველების ფართო წრისათვის, რომლებსაც აინტერესებთ უცხო ქვეყნების ეკონომიკისა და პოლიტიკის საკითხები. ცნობარში შედის სტატიები — ცნობები მსოფლიოს ყველა ქვეყნის (გარდა სსრ კავშირისა) შესახებ. ყოველ სტატიაში მოყვანილია მონაცემები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საგარეო ვაჭრობის, ფინანსების შესახებ, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის შესახებ, დახასიათებულია მშრომელთა მდგომარეობა, სახელმწიფო წყობილება, პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პრესის უმნიშვნელოვანესი ორგანოები. ყოველი სტატია მთავრდება იმ უმნიშვნელოვანესი ამბების ქრონიკით, რომლებიც მოხდა ამა თუ იმ ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში.

სტატიებს ერთვის რუკები — სქემები, რომლებშიც მოცემულია ცნობები მთამადნეულის, სამრეწველო ცენტრების განლაგების, კომუნიკაციების შესახებ.

ცნობარის მოცულობაა 991 გვერდი, ფასი 20 მანეთი, ტირაჟი 125 ათასი ცალი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ყოველწლიური დღესასწაულის „მეტალურგის დღის“ დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:** დაწესდეს დღესასწაული „მეტალურგის დღე“.

„მეტალურგის დღე“ ყოველ წელს აღინიშნოს ივლისის თვის მესამე კვირადღეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 28 სექტემბერი.

# პარტიული ცხოვრება

## კომუნისტთა აქტივობის ზრდის მაჩვენებელი

ხობი. (საკ. კორ.). რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა დროულად დაამთავრეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. შექმნილია 11 პოლიტსკოლა. სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი 6 წრის ნაცვლად იმუშავებს 10 წრე. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეების რაოდენობა და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების რიცხვი.

ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობისა და ხობის მტს-ის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან წელს პირველად ჩამოყალიბდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრეები, რომელთაც გამოცდილი პროპაგანდისტები ხელმძღვანელობენ.

ახალ სასწავლო წელს მომზადებული შეხვდნენ ნოჯიხევის სტალინის, ახალსოფლის ჟდანოვის, პირველი ხორგის კომკავშირის, ქვემო ქვალონის სტალინის, ბიის კალინინის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

კომუნისტების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლექციური პროპაგანდა. ახალ სასწავლო წელს ლექციური პროპაგანდის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი: გაიზარდა ლექტორთა ჯგუფების შემადგენლობა, ლექციების თემატიკა და გეგმები. მტკიცდება პარტიის რაიკომის ბიუროზე.

დღეს მთელ რიგ წრეებსა და პოლიტსკოლებში პირველი მეცადინეობა გაიმართება.

## სემინარულ მეცადინეობებზე

დრანდა. (საკ. კორ.). ამას წინათ საქართველოს კომპარტიის გულრიფშის რაიკომში ჩატარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მორიგი სემინარული მეცადინეობა.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები: „კომუნისტური პარტიის იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა კომუნიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პირობაა", „პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ", „პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობის დაგეგმვის, პარტიული კრებებისა და ბიუროს სხდომების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკის შესახებ". მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის გულრიფშის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე გ. კორშია, პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე ნ. სართანია და სოფელ დრანდის კოლმეურნეობა „ახალი სოფლის" პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი თ. რჩეულიშვილი.

სემინარზე პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებმა ერთმანეთს გაუზიარეს შინაპარტიული მუშაობის გამოცდილება.

## როგორ შევხვდით ახალ სასწავლო წელს

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა გასწია პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა და საამქროთა პირველადმა ორგანიზაციებმა დროზე გაითვალისწინეს გასულ სასწავლო წელს არსებული ნაკლოვანებანი და დასახეს ღონისძიებანი კომუნისტების პოლიტიკური სწავლების უკეთ მოწყობისათვის. მოეწყო გასაუბრება, როგორც კომუნისტებთან, ისე უპარტიო ამხანაგებთან და მათი სურვილის, თეორიული მომზადების დონის გათვალისწინებით დაკომპლექტდა პარტიული განათლების ქსელი. მიმდინარე სასწავლო წელს ქარხანაში შექმნილია კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი ერთი წრე, სადაც გაერთიანებულია 20 მსმენელი, 80-მდე მსმენელი ჩაბმულია კონკრეტული ეკონომიკის 2 სემინარში.

კონკრეტული ეკონომიკის წრესა და სემინარებში სწავლობენ წარმოების ხელმძღვანელები, საამქროთა და განყოფილებათა უფროსები, მათი მოადგილეები, ბუღალტრები, ოსტატები, ბრიგადირები და მოწინავე მუშები, რომლებსაც აქვთ სათანადო თეორიული მომზადება.

სატენდერო საამქროს მექვაბემ კომუნისტმა ი. ბერეზანსკიმ გასაუბრების დროს განაცხადა: „აქამდე სხვადასხვა ტიპის წრეებში ვმეცადინეობდი, სადაც მივიღე საკმაო თეორიული განათლება, ახლა კი სურვილი მაქვს შევისწავლო კონკრეტული ეკონომიკის საკითხები".

ქარხანაში შექმნილია აგრეთვე 2 პოლიტსკოლა, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი 5 წრე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი 4 წრე, სადაც ორასზე მეტი კომუნისტია გაერთიანებული. წიგნზე დამოუკიდებლად იმუშავებს ასამდე კომუნისტი, მათთვის გამოყოფილი არიან კონსულტანტები, შექმნილია საკონსულტაციო ჯგუფები.

50 კომუნისტი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, საღამოს სკოლებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში.

პარტიული განათლების ქსელის ყველა ფორმაში ჩაბმულია 500-ზე მეტი კომუნისტი, უპარტიო ამხანაგი.

ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა სერიოზული ყურადღება დაუთმო პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას. პროპაგანდისტებად გამოყოფილი არიან თეორიულად მომზადებული და მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების მქონე ამხანაგები — ინჟინრები, ტექნიკოსები და მოწინავე მუშები.

პარტიული განათლების ქსელში ახალ სასწავლო წელს პროპაგანდისტულ მუშაობას გასწევს 34 პროპაგანდისტი და კონსულტანტი. მათი დახელოვნებისა და თეორიული ცოდნის ამაღლების მიზნით ხშირად მოეწყობა სემინარები, თათბირები ურთიერთ გამოცდილების გაზიარებისათვის და სხვ.

გასულ სასწავლო წელს ლექციური პროპაგანდა ქარხანაში არ იყო ცუდად დაყენებული. წელსაც მოეწყობა ლექციები პარტიის ისტორიის, კონკრეტული ეკონომიკის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის საკითხებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებზე და სხვ. ამჟამად უკვე იკითხება ლექციების ორი ციკლი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით. სასწავლო წლის მთელ მანძილზე ჩატარდება ლექციების სამი ციკლი პარტიის ისტორიის, კონკრეტული ეკონომიკის და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

გათვალისწინებული გვაქვს ახალ სასწავლო წელს ხშირად მოვაწყოთ თეორიული და ეკონომიური კონფერენციები სხვადასხვა თემაზე. პირველი კონფერენცია გაიმართება ოქტომბერში თემაზე „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია". იგი მიეძღვნება როგორც ახალი სასწავლო წლის დაწყებას, ისე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

ქარხნის პოლიტიკური განათლების კაბინეტში ყველა პირობაა შექმნილი პარტიული განათლების ქსელში ჩაბმულ კომუნისტთა დასახმარებლად. მოწყობილია გამოფენები წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებისათვის, შერჩეულია მასალები პროპაგანდისტებისა და კონსულტანტებისათვის. შეძენილია რუკები, ალბომები, სამეცადინოდ გამოყოფილია ნათელი ოთახები.

ამას წინათ ჩატარებულ პროპაგანდისტთა და საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირზე გადაწყდა, რომ პოლიტსკოლებში, წრეებსა და სემინარებში პირველი ორიოდე მეცადინეობა მიეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული თეზისების — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის" შესწავლას. ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ყველა პირობა შექმნა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

**ბ. პაიჭაძე,**
სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე.



ხულოს რაიონის სოფელ დეკანაშვილების მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრი შ. ჩოგოძე და მერგოლური ა. ჩოგოძე ამოწმებენ თამბაქოს ხმობის ხარისხს.

ფოტო ს. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

★

## რესპუბლიკის მინდვრებზე

(სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმოხილვა)

### საშემოდგომო თესვა

წელს საქართველოში უნდა დაითესოს 277.974 ჰექტარი საშემოდგომო თავთავიანი კულტურები. 25 სექტემბრისათვის დათესილი იყო 49.306 ჰექტარი, ანუ გეგმის 17,7 პროცენტი.

ბოგდანოვკის რაიონმა 585 ჰექტარის ნაცვლად დათესა 762 ჰექტარი და ამით გეგმა 130,2 პროცენტით შეასრულა. დაწინაურდა ახალქალაქის რაიონი, სადაც თესვის დავალება 91,3 პროცენტით არის განაღდებული. ცაგერის რაიონში თესვის გეგმა შესრულებულია 82 პროცენტით, ასპინძის — 55,3, თიანეთის — 45, გარეუბნის — 42,3, დმანისის — 39, ჰიათურის — 38,5, წალკის — 35,3, საჩხერის — 34,2, გორის — 34,1, ახალციხის რაიონში — 33 პროცენტით და ა. შ.

### სიმინდის აღება

კოლმეურნეობებში მასობრივად არის გაჩაღებული სიმინდის აღება. 25 სექტემბრისათვის გეგმით გათვალისწინებული 255.968 ჰექტარიდან მოსავალი აღებული იყო 89.600 ჰექტარზე, რაც გეგმის 35 პროცენტს შეადგენს.

ახალქალაქის რაიონმა უკვე დაამთავრა სიმინდის აღება 590 ჰექტარზე. წითელწყაროს რაიონში სიმინდის აღების გეგმა შესრულებულია 97,5 პროცენტით, გურჯაანის — 95,2, სიღნაღის — 95, გარეუბნის — 89, კაჰრეთის — 82, ბოლნისის — 81,5, ხაშურის — 81, ასპინძის რაიონში — 74,5, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 72,5, ყვარლის რაიონში — 70,2, დუშეთის — 68, დმანისის — 64,1, გარდაბნის — 63,1, მცხეთის — 61,5, ლაგოდეხის — 61,2, თეთრი წყაროს — 60, ქარელის — 59,2, საგარეჯოს — 57, ახმეტის — 54,1, ონის — 54, ამბროლაურის — 51, კასპის რაიონში — 50 პროცენტით.

### მზრალად ხვნა

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა წელს მზრალად უნდა მოხნან 191.552 ჰექტარი, 25 სექტემბრისათვის მოხნული იყო 72.392 ჰექტარი, ანუ გეგმის 37,8 პროცენტი. დაწინაურდნენ ხაშურის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ქარელის, ბორჯომის, წალკის, დუშეთის, წითელწყაროს რაიონები, რომლებმაც უკვე გაანაღდეს მზრალად ხვნის გეგმის დიდი ნაწილი. მზრალად ხვნაში ჩამორჩნენ ბოლნისის, მცხეთის, ყვარლის, ახმეტის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, თეთრი წყაროს და მთელი რიგი სხვა რაიონები.




## ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა, რომელიც სავსებით მოსწყდა მასებს და საერთაშორისო კონტრრევოლუციისა და რეაქციის ყურმოჭრილი მსახური გახდა, უუნარო აღმოჩნდა გამკლავებოდა სამეურნეო ნგრევას. მოიშალა ეკონომიკა, ფინანსები, გამწვავდა აგრარული მოძრაობა, მოახლოებული შიმშილის საშინელი აჩრდილი აღიმართა ქვეყნის წინაშე. საერთაშორისო მუშათა მოძრაობა გამოცოცხლდა. მსოფლიო პროლეტარიატი კმაყოფილებით ადევნებდა თვალყურს რუსეთში რევოლუციური ქარიშხლის ზრდას. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) მიერ შემუშავებული მანიფესტი რუსეთის ყველა მშრომელის, ყველა მუშის, ჯარისკაცისა და გლეხისადმი აცხადებდა:

„მთელ დედამიწას უკვე მოედნენ გრიგალები. ინგლისში მუშები უკვე იწყებენ აშკარა ბრძოლას კაპიტალის ასალაგმავად. საფრანგეთში ჯარისკაცები აგიტაციას ეწევიან ზავისა და რევოლუციის სასარგებლოდ, გერმანიაში განუწყვეტელი მღელვარება და გაფიცვებია, ამერიკაში ბურჟუაზია ხვრეტს სოციალისტებს, რომლებიც ომის წინააღმდეგ ბრძოლის დროშას მაღლა სწევენ. ესპანეთი კლასთა რევოლუციური შეტაკების ცეცხლშია გახვეული. მოახლოებული ჰექაქუხილის საერთო საკითხის განსახილველად ყველა ქვეყნის ფინანსისტები იკრიბებიან ფარულ ყრილობებზე. რადგან მათ უკვე ესმით მუშათა რევოლუციის რკინის ნაბიჯების ხმა".

რუსეთში შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობას თან დაერთო დიდი ეროვნული მოძრაობანი — რევოლუციური გაქანების ახალი ტალღა. ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის დროს კვლავ მთელი ძალით იჩინა თავი ყველა ძველმა და ახალმა წინააღმდეგობებმა ეროვნულ საკითხში. დაჩაგრულ ერებებში მკვეთრი ძვრა დაიწყო. რევოლუციის გაღრმავებასთან ერთად გაღრმავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ეროვნულ ოლქებსა და მხარეებში გახშირდა კონფლიქტები და შეტაკებანი მთავრობის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის. ეს კონფლიქტები უმრავლეს შემთხვევაში ეროვნულ ნიადაგზე ხდებოდა. მაგალითად, ამიერკავკასიაში, უკრაინაში, ყირიმში და სხვაგან გახშირდა ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილი შეტაკებები. ეროვნული მოძრაობის მასობრივმა ხასიათმა დააფრთხო წვრილბურჟუაზიული პარტიები, რამაც გამოხატულება ჰპოვა ამ საკითხთან ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის დამოკიდებულებაში. დროებითი მთავრობა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ეროვნული თვითგამორკვევის ყოველ ცდას, მით უმეტეს, როცა ეს მოძრაობა მტკიცედ გადაეჯაჭვა მუშათა და გლეხთა საერთო რევოლუციურ მღელვარებას. ახლა რევოლუციური მღელვარება მრისხანე საფრთხედ იქცა. ბოლშევიკური პარტია ყველგან წარმართავდა ეროვნულ მოძრაობას ისე, რომ იგი არ მოწყვეტილიყო საერთო სადღეისო რევოლუციურ ამოცანებს. ვ. ი. ლენინი სტატიაში „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?" წერდა: „ნაციონალური და აგრარული საკითხები, ეს ამჟამად რუსეთის მოსახლეობის წვრილბურჟუაზიული მასების ძირითადი საკითხებია. ეს უცილობელია. და, რაც იშვიათია ორივე ამ საკითხში პროლეტარიატი „არ არის განცალკევებული". მას მხარს უჭერს ხალხის უმრავლესობა. მარტო მას შეუძლია აწარმოოს ისეთი გადამჭრელი, ნამდვილად „რევოლუციურ-დემოკრატიული" პოლიტიკა ორივე საკითხში, რომელიც ერთბაშად უზრუნველყოფდა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლებისათვის, არათუ მოსახლეობის უმრავლესობის მხრივ მხარისდაჭერას, არამედ რევოლუციური ენთუზიაზმის ნამდვილ ალტყინებას მასებში".

ბოლშევიკური პარტია ეროვნულ საკითხში დიდ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა. ბოლშევიკები მასებს განუმარტავდნენ, რომ ძირითადი მნიშვნელობა ერთობლივ რევოლუციურ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ ენიჭება სხვადასხვა ერივნებათა პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების დაახლოების პოლიტიკას. უნდა დამყარდეს ეროვნებათა სრული თანასწორუფლებიანობა, კოლონიებისა და არათანასწორუფლებიანი ერების სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლება.

ბოლშევიკური პარტია ამზადებდა ნიადაგს პროლეტარიატის სხვადასხვაგვაროვან ეროვნულ შემადგენლობათა შორის მტკიცე საბრძოლო კავშირის დამყარებისათვის, რომლის საბოლოო მიზანი განისაზღვრებოდა ბურჟუაზიის დამხობით და პროლეტარული სახელმწიფოს შექმნით.

# გაზეთების ფურცლებზე

## ურალელი მეგობრები ქუთაისში

უკვე მეორე წელია, რაც ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი ურალის ი. ბ. სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივთან. ამას წინათ ურალელი ავტომობილმშენებლები ეწვივნენ თავიანთ ქუთაისელ თანამოძმეებს. როგორც ქუთაისის საქალაქო გაზეთი „კუტაისსკაია პრავდა" წერს, სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ ქარხნის, მისი საამქროების მუშაობას, ესაუბრნენ ქუთაისელ მეგობრებს, გაუზიარეს მუშაობის თავიანთი გამოცდილება. ქუთაისელ მეავტომობილეთა წარმომადგენლებთან ერთად მათ შეაჯამეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა წლის პირველი ნახევრის მაჩვენებლების მიხედვით.

ურალელ ავტომობილმშენებელთა მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესახებ გაზეთმა მთელი გვერდი დაუთმო მასალებს სათაურით „ურალელი ავტოქარხნელები გვიზიარებენ თავიანთ გამოცდილებას".

გვერდში დაბეჭდილ წერილებში ლაპარაკია შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადასვლის, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისა და ქუთაისელებთან მეგობრობის შედეგად მოპოვებულ წარმატებათა შესახებ.

გაზეთში დაბეჭდილი წერილები დაეხმარება ქუთაისელ ავტომშენებლებს თავიანთი ურალელი მეგობრების მუშაობის მოწინავე გამოცდილების გაცნობაში.

## შრომისა და გამარჯვების ოთხი წელი

სიღნაღის რაიონულმა გაზეთმა „კოლმეურნემ" ამას წინათ ორ გაშლილ გვერდზე მისცა მასალები საერთო სათაურით „რაიონის მშრომელები წარმატებით ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას". მასალებში ლაპარაკია იმ მიღწევებზე სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რომლებიც რაიონის მშრომელებმა მოიპოვეს სექტემბრის პლენუმის შემდეგ. როგორც გაზეთი აღნიშნავს, მიმდინარე წელს რაიონში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, ცხვრისა — 101, ღორისა — 141 პროცენტით, მაშინ როცა 1953 წელს მეცხოველეობის სულადობის გეგმები არ სრულდებოდა.

წერილში „კომუნისტების სისხლხორცეული საქმე" ანაგის კოლმეურნეობა „შრომის" პარტბიუროს მდივანი ა. ღირსიაშვილი წერს, რომ წელს თვითეულ ჰექტარზე მიღებულ იქნა 15,9 ცენტნერი ხორბალი და 17 ცენტნერი ქერი. ეს მაჩვენებლები ორნახევარჯერ და უფრო მეტად სჭარბობს 1953 წლის მაჩვენებლებს.

გაზეთში დაბეჭდილ სხვა წერილებში ლაპარაკია რაიონის მშრომელთა წარმატებებზე სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.



ს ო ხ უ მ ი. ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი და აფხაზეთის ასსრ მთავრობის სახლი.

ფოტო ვ. სტოლიაროვის და ი. ედიგარაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# უკრაინის სს რესპუბლიკამ სახელმწიფოს ჩააბარა 400 მილიონი ფუთი პური

უკრაინის სსრ კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, პარტიული და საბჭოთა ორგანოები დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის, ისინი ამთავრებენ მოსავლის აღებას და ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების (გარდა სიმინდისა) სახელმწიფო გეგმა.

სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 400 მილიონი ფუთი პური, ანუ 128 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. დამამზადებელმა პუნქტებმა მიიღეს 335 მილიონი ფუთი კარგი ხარისხის ხორბალი.

დნეპროპეტროვსკის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 39 მილიონი ფუთი პური, ზაპოროჟიეს ოლქისა — 34 მილიონი ფუთი, ხარკოვის ოლქისა — 32 მილიონი ფუთი, კიროვოგრადის ოლქისა — 31 მილიონი ფუთი, ხერსონის ოლქისა — 29 მილიონი ფუთი, ვინიცის ოლქისა — 26 მილიონი ფუთი, სტალინოს ოლქისა — 26 მილიონი ფუთი.

ორგანიზებულად აიღეს მოსავალი და ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების გეგმა ხმელნიცკის, კიევის, ტერნოპოლის, ჩერნიგოვის, ლვოვის, ვოლინსკის, სტანისლავის, როვნოს, ჩერნოვცის და ამიერკარპატის ოლქებმა.

წარმატებით დაამთავრეს რა პურის დამზადების გეგმა, რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა გეგმის გადამეტებით აძლევს (მიყიდვით) მნიშვნელოვანი რაოდენობის პურს სახელმწიფოს. მაგალითად, სტალინოს ოლქის კოლმეურნეობებმა გეგმის გადაჭარბებით ჩააბარეს და მიჰყიდეს სახელმწიფოს 5 მილიონი ფუთი მარცვლეული, ხმელნიცკის ოლქისა — 5,4 მილიონი ფუთი, ვინიცისა — 3 მილიონი ფუთი, ჩერნიგოვისა — 1 მილიონი ფუთი, ტერნოპოლისა — 1,2 მილიონი ფუთი. გეგმის გადამეტებით აძლევენ (მიყიდვით) სახელმწიფოს პურს აგრეთვე მთელი რიგი სხვა ოლქების კოლმეურნეობები.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეინახეს 1958 წელს საგაზაფხულო კულტურების მთელი ფართობისათვის საჭირო თესლი. იქმნება საფურაჟე და სადაზღვევო ფონდები. ყველა კოლმეურნეობა ავანსად აძლევს პურს კოლმეურნეებს შრომადღეებზე.

უკრაინის სოფლის მეურნეობის მშრომელები თავიანთი ძალებისა და შესაძლებლობების მტკიცე რწმენით იბრძვიან იმისათვის, რომ შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, — და პირველ წარმატებებსაც მიაღწიეს.

განვლილ რვა თვეში რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორცის წარმოება გადიდდა 1,5-ჯერ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ვინიცის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ხორცის წარმოება გაადიდეს 1,8-ჯერ და 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაანგარიშებით მიიღეს 25,2 ცენტნერი ხორცი. კიევის ოლქში ხორცის წარმოება გადიდდა 1,7-ჯერ, ხარკოვის ოლქში — 1,6-ჯერ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

კიევის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ას ჰექტარ მიწის სავარგულზე მიიღეს 150 ცენტნერი რძე ანუ 46 ცენტნერით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. ხარკოვის ოლქში ას ჰექტარ სავარგულზე მიღებულია 160 ცენტნერი რძე, ჩერნოვცის ოლქში — 159 ცენტნერი, ჩერკასის ოლქში — 155 ცენტნერი რძე. მთლიანად რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიღებულია 4,9 მილიონი ტონა რძე, რაც საშუალოდ შეადგენს 122 ცენტნერს ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, ანუ 20 ცენტნერით მეტს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

წყვეტენ რა ხორცის წარმოების გადიდების პრობლემას, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ უფრო სრულად გამოიყენონ მეცხოველეობაში არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ღორის გასუქება, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ბაგური და საძოვრებზე გასუქება. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე გაასუქეს 3,3 მილიონი სული ღორი და, ამას გარდა, სუქდება კიდევ 4 მილიონამდე სული. ბაგაზე და საძოვარზე უკვე გასუქებულია 1 მილიონამდე სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, რაც 1,6-ჯერ მეტია, ვიდრე გასუქებული იყო შარშან ამავე თარიღისათვის. ახლა კოლმეურნეობებში და საძოვრებზე ასუქებენ 812 ათას სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, რაც 2,4-ჯერ მეტია შარშანდელთან შედარებით. საქონლის ხორცის წარმოების შემდგომი გადიდების მიზნით რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კონტრაქტაცია დაუდეს კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს, რომ გაზრდიან და გაასუქებენ 1,4 მილიონზე მეტ სულ მოზარდეულს.

ხორცის რესურსების გადიდების მეტად დიდმნიშვნელოვანი დამატებითი წყაროა ახლა მეფრინველეობისა და მეკურდღლეობის განვითარება. სტალინოს ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, იყენებენ რა ბუნებრივ წყალსატევებს, ზრდიან 3 მილიონამდე იხვსა და ბატს, ოდესის ოლქისა — 2,2 მილიონს, ნიკოლაევის ოლქისა — 1 მილიონს, ზაპოროჟიეს ოლქისა — 0,8 მილიონს. სულ რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ზრდიან 11 მილიონ ფრთა მცურავ ფრინველს, ანუ თითქმის 2,3-ჯერ მეტს, ვიდრე შარშან.

რესპუბლიკის ასობით კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა წარმატებით ასრულებს ნაკისრ მაღალ სოციალისტურ ვალდებულებებს — წელს ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიიღონ 70-100 ცენტნერი ხორცი და 300-400 ცენტნერი რძე.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებამ რესპუბლიკას საშუალება მისცა ვადაზე 4 თვით ადრე შეესრულებინა რძის და კვერცხის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 3,9 მილიონი ტონა რძე, ანუ 429 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. რძის ჩაბარებისა და მიყიდვის წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულა 22 ოლქმა. წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით ჩააბარებენ და მიჰყიდიან სახელმწიფოს 800 ათასი ტონა რძეს. ხორცის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 85 პროცენტით. სახელმწიფოს ჩააბარეს და მიჰყიდეს 785 ათასი ტონა ხორცი ანუ ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

რესპუბლიკის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, პარტიული და საბჭოთა ორგანოები დიდად ზრუნავენ მომავალი წლის მოსავლისათვის. თესვა განხორციელდა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში უხვმოსავლიანი დარაიონებული ჯიშის თესლით. დიდ ფართობებზე საშემოდგომო კულტურები დაითესა ჯვარედინად და ვიწრომწკრივად. წელს კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აგვისტოსა და სექტემბერში — საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში — მზრალად მოხნეს 8,5 მილიონი ჰექტარი, ანუ 4 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან.

დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების საკითხებს. პოლესიესა და უკრაინის დასავლეთ ოლქებში მოწყობილია ტორფისა და ნაკელის კომპოსტების და ორგანული მინერალური ნარევის წარმოება. წელს უკვე წარმოებულია და მინდვრებში შეტანილია 75 მილიონი ტონა ადგილობრივი სასუქი, ანუ მეტი ვიდრე მთელ 1956 წელს. შარშანდელთან შედარებით ერთიორად გადიდდა ტორფის მოპოვება და მისი სასუქად გამოყენება.

ამჟამად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ იმას, რომ შემჭიდროებულ ვადებში დაამთავრონ მინდვრის ყველა სამუშაო, მოემზადონ პირუტყვის გამოზამთრებისათვის. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რომ დაძლეულ იქნეს სიძნელენი, რომლებიც მიმდინარე წლის ცუდი ამინდის გამო შეიქმნა მთელ რიგ ოლქებში და უზრუნველყოფილ უნდა იქნას პირუტყვი საკვებით. ამიტომ ახლა ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ გაადიდონ საკვების მარაგი და უზრუნველყონ მისი უფრო ეკონომიური ხარჯვა.

სწავლობენ რა თეზისებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის, კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ, რომ გაამრავლონ ოქტომბრის მონაპოვარნი, შეუსუსტებლად იბრძოლონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის და ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სახელოვან წლისთავს.

სა ბ ჭ ო თ ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

# ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე სრული წესრიგი!

## ცხაკაიას რაიონის მშრომელთა თაოსნობა

ცხაკაიას რაიონის პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს, მათ ერთსულოვნად გადაწყვიტეს მოაწყონ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შეკეთების ერთთვიური. ამ მიზნით შეისწავლეს რა სამუშაოები იყო შესასრულებელი, გაიანგარიშეს საჭირო მუშახელის, ტრანსპორტისა და მასალების რაოდენობა. დაგეგმეს, თუ რა სახის სამუშაოები უნდა შეესრულებინათ ცალკეულ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მტს-ს და საწარმო-დაწესებულებებს.

ერთთვიური დაიწყო 15 სექტემბერს. 10 დღეში დამზადდა და ადგილებზე მიზიდულ იქნა 5.500 კუბური მეტრი ქვამასალა, რაც გეგმის 40 პროცენტს შეადგენს. კოლმეურნეობებმა დაამზადეს 50 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, კიდევ უნდა დაამზადონ 80 კუბური მეტრი. დაწყებულია ნაგებობათა შეკეთება და მშენებლობა. ეს სამუშაოები წარმატებით ვერ მიმდინარეობს, ვინაიდან აკლიათ ცემენტი. მიღებულია ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

სამუშაოზე ორგანიზებულად გამოდიან და დავალებას გადაჭარბებით ასრულებენ ხრუშჩოვის სახელობის (თავმჯდომარე ა. გვასალია), ნოსირის ვოროშილოვის სახელობის (თავმჯდომარე შ. მილორავა) ძველი სენაკის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ა. კურდღელია) კოლმეურნეობები.

მაგრამ არის კოლმეურნეობები, რომლებსაც სამუშაოზე საჭირო რაოდენობით არ გამოჰყავთ მუშახელი და მიცემულ დავალებას ვერ ასრულებენ. ასეთებია თეკლათის ლენინის სახელობის (თავმჯდომარე ი. ფოცხუა), მენჯის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ა. ჟვანია) და ფოცხოს კიროვის სახელობის (თავმჯდომარე გ. ბარამია) კოლმეურნეობები.

ცხაკაიას რაიონის მშრომელებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს ყველა სამუშაო ვადამდე და მაღალხარისხოვნად შეასრულონ და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის გზა სრულ წესრიგში მოიყვანონ.

**ე. ლუკაშვილი,**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილთა მთავარი სამმართველოს ინჟინერი.

★

# სტუმრად პლასტუნკელ ქართველებთან

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა პროფკომმა და კომკავშირის კომიტეტმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად მოაწყეს საინტერესო ექსკურსია კრასნოდარის მხარის ადლერის რაიონის სოფელ პლასტუნკაში.

ჩვენმა სტუდენტებმა წინასწარ შეაგროვეს ბიბლიოთეკა პლასტუნკის შვიდწლიანი სკოლისათვის გადასაცემად.

უდიდესი სიყვარულით და გრძნობით აღსავსე იყო ჩვენი შეხვედრა პლასტუნკელ ქართველებთან. მასპინძლებს აინტერესებდათ საქართველოს სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ამბები. ვინ ჩამოთვლის იმ უამრავ კითხვას, რომლებსაც მასპინძლები და სტუმრები აძლევდნენ ერთმანეთს. გავეცანით პლასტუნკის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას.

პლასტუნკიდან დაბრუნებულნი ვიყავით სოჭში. დავათვალიერეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საბჭოთა მწერლის ნიკოლოზ ოსტროვსკის სახლი-მუზეუმი, სახელმწიფო თეატრი და სხვა ადგილები.

ჩვენი ურთიერთობა პლასტუნკელ ქართველებთან მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება.

**ნ. ბარამიძე,**
ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე.

# მზადება ი. ჭავჭავაძის იუბილესათვის

ს ა ჩ ხ ე რ ე. (საქ. კორ.). რაიონის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ დიდი ქართველი მწერლის ი. ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებს. კოლმეურნეობებში, სკოლებსა და საწარმო-დაწესებულებებში ეწყობა ლექცია-საუბრები დიდი მწერლისა და მოაზროვნის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ბიბლიოთეკებსა და წითელ კუთხეებში მოეწყო ი. ჭავჭავაძის ცხოვრება-მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მასალების გამოფენა.

ილიას დღეებისათვის გაცხოველებით ემზადება საჩხერის ა. წერეთლის სახელობის საშუალო სკოლის კოლექტივი. ბიბლიოთეკაში მოწყობილია კარგი გამოფენა. ილიას საიუბილეო დღეებს მიეძღვნა ფოტოგაზეთის სპეციალური ნომერი. მოსწავლეებმა ამოკრიფეს და შეაგროვეს ილიას და აკაკის აფორიზმები, სკოლაში ეწყობა კონკურსი ი. ჭავჭავაძის ლექსების, მოთხრობების მხატვრულ კითხვაზე, საკუთარ ლექსებზე, პროზაულ ნაწარმოებზე, სურათებსა და ბიუსტებზე, კედლის გაზეთსა და ალბომზე. მოსწავლეები ამზადებენ ილიას „კაკო ყაჩაღისა" და „ოთარაანთ ქვრივის" ინსცენირებას, მზადდება ხელთნაწერი ჟურნალ „ცისკრის" სპეციალური ნომერი. მოეწყობა მოსწავლეთა შეკრება თემაზე „რად მიყვარს ი. ჭავჭავაძე".

# დაპირებას იძლევიან, შესრულებისათვის არ ზრუნავენ

აბაშის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ვ. კვარაცხელიას რაიონში გამართულ თათბირებსა და კრებებზე ხშირად მიუცია საზეიმო დაპირება, რომ დარაზმავდა სადაბო საბჭოს აქტივს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. დაპირება და მაღალფარდოვანი სიტყვები ქაღალდზე დარჩა. პრაქტიკულად ამხ. ვ. კვარაცხელიას ბევრი არაფერი გაუკეთებია. 11 სექტემბრისათვის ინდივიდუალური ჩამბარებლებისაგან რძის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო 65 პროცენტით, ხოლო თავისუფალი შესყიდვისა — 4,1 პროცენტით. ასევე ჩამორჩება ხორცისა და კვერცხის დამზადება-შესყიდვის გეგმები.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმების შესრულებაში უდარდელობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ვ. სხვიტარია). ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე მან ბედის ანაბარად მიატოვა. მოსახლეობაში არავითარ ახსნა-განმარტებითს მუშაობას არ ეწევა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება-შესყიდვის გეგმების დროზე შესრულების მნიშვნელობაზე. ყოველივე ამის შედეგად სასოფლო საბჭოში რძის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 7 პროცენტით, ხოლო შესყიდვისა — 1,1 პროცენტით.

აბაშის რაიონის ბევრი კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელები მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებასა და შესყიდვაში ჩამორჩენას ურიგდებიან, არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს მის გამოსასწორებლად. ყოველივე ამის შედეგად რაიონში 11 სექტემბრისათვის ხორცის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო 38 პროცენტით, რძისა — 48 პროცენტით. დიდი ჩამორჩენაა მეცხოველეობის პროდუქტების თავისუფალ შესყიდვაში. განსაკუთრებით ჩამორჩებიან ინდივიდუალური ჩამბარებლები. ამ სექტორიდან ხორცის შესყიდვის რაიონული გეგმა შესრულებულია 3,8 პროცენტით, რძისა — 3,7 პროცენტით.

პარტიის აბაშის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა დროა გადამჭრელი ზომები მიიღონ იმისათვის, რომ თავი დააღწიონ ასეთ სამარცხვინო ჩამორჩენას.

**ვ. კოპალეიშვილი,**
„კომუნისტის" საკ კორესპონდენტი.

# გამოჩენილი საბჭოთა ენათმეცნიერი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ გიორგი სარიდანის-ძე ახვლედიანს დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა.

გ. ახვლედიანის, როგორც ინდოევროპული და ქართველური შედარებითი ენათმეცნიერების მკვლევარის სახელი ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც. იგი დაიბადა 1887 წელს ქუთაისის რაიონის სოფ. დერჩში. 1908 წელს თბილისში დაამთავრა ქართული გიმნაზია, ხოლო 1914 წელს — ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი სლავურ-რუსული განხრით. 1915 წელს დატოვებულ იქნა იმავე უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. პირველმა მისმა საკონკურსო მეცნიერულმა შრომამ „ინდოევროპულ ენათა ნარნარა და ცხვირისმიერი თანხმოვნები" ოქროს მედალი მიიღო.

გიორგი ახვლედიანმა შესანიშნავი ენათმეცნიერული სკოლა ზანვლო, საფუძვლიანი ცოდნა მიიღო ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში. მას ყოველთვის დიდი ინტერესი ჰქონდა და აქვს ენის თეორიისადმი. იგი ჩვენში ზოგადი ენათმეცნიერული განათლების ფუძემდებელია. მან პირველმა წაიკითხა ქართულ უნივერსიტეტში ენათმეცნიერების კურსი, რომელიც შემდგომ სამ ნაკვეთად დაიბეჭდა.

ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებიდან გ. ახვლედიანი ლექციებს კითხულობდა აგრეთვე ძველ ინდურ ენაში ანუ სანსკრიტში, 1920 წელს ქართულ ენაზე გამოსცა „სანსკრიტის სახელმძღვანელო ტექსტებითა და ლექსიკონითურთ".

ქართველოლოგია და ქართველური ენები, ინდო-ირანული ენები, სლავური, გერმანული, რომანული ენები — იშვიათია ენათმეცნიერი, რომელსაც კვლევის ასეთი ფართო მასშტაბები ჰქონდეს. გ. ახვლედიანის კალამს ეკუთვნის 130-მდე სამეცნიერო შრომა. ამ შრომებს თავიდანვე წითელი ზოლივით გასდევს დიდი ინტერესი ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკისადმი, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი დარგისადმი. მის მიერ უნივერსიტეტში დაარსებულმა ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტმა ხელი შეუწყო ჩვენში ამ დარგის სწრაფად განვითარებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ახვლედიანის ეტიუდები ოსური ენის ისტორიიდან, რომლებმაც ავტორს ოსური ენის გამოჩენილი მკვლევარის სახელი მოუხვეჭეს.

დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გ. ახვლედიანმა ქართულ-ქართველურ ენების ბგერითი სისტემების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლით ბევრი ახალი დებულება შემატა ზოგად ფონეტიკას. მან მოგვცა ქართულ და აფხაზურ ენათა ბგერების მეცნიერული კლასიფიკაცია.

შრომაში „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები" მოცემულია ქართული ენის ბგერითი სისტემის მეცნიერული შედარება რუსული, გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენების ბგერით სისტემებთან და ნაჩვენებია ის განსხვავებული, სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც ამ სხვადასხვა სისტემის ენათა ბგერებს ახასიათებს.

„ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში" გ. ახვლედიანმა სპეციალურად განიხილა ფონოლოგიის ძირითადი საკითხები და მოგვცა თავისი შეხედულებანი ფონოლოგიის მთავარ პრობლემებზე.

გ. ახვლედიანს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა მოხსენებით რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებზე, ყრილობებზე და კონფერენციებზე (თბილისში, ბათუმში, ბაქოში, ხარკოვში, მოსკოვში, ლენინგრადში, ოქსფორდში, დელში და სხვ.). იგი არჩეულია ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშორისო საზოგადოების წევრად (1932 წლიდან) და ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების წევრად (1940 წლიდან).

დიდია გ. ახვლედიანის ღვაწლი ქართული ლექსიკოგრაფიის დარგში. იგი ავტორია რამდენიმე თარგმნითი რუსულ-ქართული ლექსიკონისა (I, II დოც. ს. იორდანიშვილთან ერთად), ქართულ-რუსული ლექსიკონისა (პროფ. ვ. თოფურიასთან ერთად), უცხო სიტყვათა ლექსიკონისა. ამავე დროს აქტიურად მონაწილეობს ტერმინოლოგიური ლექსიკონების დამუშავებასა და შედგენაში.

საყურადღებოა გ. ახვლედიანის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა რუსული და უცხოური ენების დაუფლების საქმეში. მისი თეორიული სტატიები, სახელმძღვანელოები საშუალო სკოლებისათვის და გამოსვლები სხვადასხვა კონფერენციებსა და თათბირებზე მიზნად ისახავს ენების სწავლების გაუმჯობესებასა და მაღალ მეცნიერულ დონეზე დაყენებას. განსაკუთრებით [illegible] მისი რუსული ენის გრამატიკა საშუალო სკოლებისათვის, [illegible] ლურად ქართული და რუსული ენები.

ასევე აღსანიშნავია გ. ახვლედიანის დამსახურება როგორც შესანიშნავი პედაგოგისა და აღმზრდელისა. ვისაც მისი ლექციები მოუსმენია, არ შეიძლება სიამოვნება არ განიცადოს მისი თხრობის სტილის მკაფიობით, აზრის სიცხადითა და ლაკონიურობით. ასეთივე სტილი ახასიათებს მის მიერ დაწერილ სამეცნიერო შრომებსაც.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში იშვიათია მეცნიერი, რომელსაც მეცნიერების სხვადასხვა დარგში და ზოგჯერ ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ დისციპლინებში ახალგაზრდა მეცნიერთა კადრები გამოეზარდოს იმ რაოდენობით, რამდენიც გ. ახვლედიანმა გამოზარდა.

გ. ახვლედიანი ამავე დროს დიდი საზოგადო მოღვაწე და მოქალაქეა. საყოველთაოდ ცნობილია მისი ღვაწლი როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლისა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა უნივერსიტეტის ზრდა-განვითარებაში, როგორც ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე და ფილოლოგიის ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოების წევრი. იგი ამავე დროს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელთა პირველი შემადგენლობის ნამდვილი წევრია და აკადემიაში მას ეკავა მთელი რიგი პასუხსაგები თანამდებობები (აკადემიკოს-მდივნისა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარისა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორისა და სხვ.).

გ. ახვლედიანი ქუთაისის პედაგოგიური და თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების, აგრეთვე თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორია. იგი დიდხანს (1924-1933 წ. წ.) ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სექციას.

არის კიდევ ერთი დარგი, რომელიც ფრიად სასარგებლო საქმეს ემსახურება. ეს არის ლოგოპედია — მეტყველების დეფექტების გამასწორებელი მეცნიერება. ამ დარგის განვითარება და სათანადო სპეციალისტების მომზადება ჩვენში გ. ახვლედიანის სახელთან არის დაკავშირებული. მთელი რიგი წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა ლოგოპედიის კაბინეტს ნერვულ-ფუნქციონალურ დაავადებათა ინსტიტუტში.

ენათმეცნიერების დარგში მოპოვებული მეცნიერული მიღწევების საფუძველზე გ. ახვლედიანი 1939 წელს არჩეულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1943 წელს ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

გ. ახვლედიანი ამჟამადაც არაჩვეულებრივი ენერგიით, ნაყოფიერად განაგრძობს მეცნიერულ შემოქმედებას და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

**პროფესორი ს. ჟღენტი.**



გ. ახვლედიანი.



ქალაქ კუნმინის (იუნანის პროვინცია) ავიაპორტი ერთ-ერთი უდიდესი ავიაპორტია ჩინეთში. ს უ რ ა თ ზ ე: თვითმფრინავის მომზადება გასაფრენად კუნმინის აეროდრომზე.

# სახელოვანი წლისთავი

დღეს დიდი ჩინელი ხალხი დღესასწაულობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მერვე წლისთავს.

თავისი არსებობის მეცხრე წელიწადში ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო შედის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავის წინ, რევოლუციისა, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე, კერძოდ, ჩინელი ხალხის ისტორიულ ბედზე. ჩინეთის კომუნისტური პარტია ყოველთვის მჭიდროდ უკავშირებდა ოქტომბრის რევოლუციას თავის ბრძოლას ჩინელი ხალხის ახალი, თავისუფალი ცხოვრებისათვის, სოციალიზმისათვის.

ადგას რა ოქტომბრის რევოლუციით გაკვალულ გზას, ჩინელმა ხალხმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა უდიდესი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მიღწევები.

სოციალისტურმა რევოლუციამ ჩინეთში გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა — ასეთია უმნიშვნელოვანესი შედეგი ჩინელი ხალხის გმირული ბრძოლისა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ჩინეთში მსოფლიო ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ.

ჩინეთის სოფლის მეურნეობაში, შინამრეწველობაში, აგრეთვე კაპიტალისტურ მრეწველობასა და ვაჭრობაში სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების შედეგად სოციალისტური საკუთრება გაბატონებული გახდა როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ჩინეთის საერთო პროდუქციის მთელ მოცულობაში კაპიტალისტურ საწარმოთა და ერთპიროვნულ შინამრეწველთა პროდუქცია ახლა მხოლოდ 1,3 პროცენტს შეადგენს. სწრაფი ტემპებით იზრდება სოციალისტური მრეწველობა: თუ სახალხო რევოლუციის გამარჯვების წინ თანამედროვე მრეწველობის ხვედრითი წონა ჩინეთის სახალხო მეურნეობის მთელ პროდუქციაში შეადგენდა 17 პროცენტს, 1957 წლის დამლევისათვის ეს ხვედრითი წონა 42,9 პროცენტამდე გადიდდა.

ჩინელმა ხალხმა ძირითადად უკვე განახორციელა ის რთული ამოცანა, რომ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება სოციალისტურ საკუთრებად გადაექცია. ეს კი, როგორც აღნიშნულია ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებებში, იმას ნიშნავს, რომ ჩინეთში ძირითადად გადაჭრილია წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ბოლო მოეღო კლასობრივი ექსპლოატაციის სისტემას, რაც იქ რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში იყო, ძირითადად შექმნილია სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება.

კოლონიზატორთა მიზეზით ჩინეთი ეკონომიური განვითარების მხრივ ასი წლით ჩამორჩა ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს. ჩინეთში გაბატონებული უცხოეთის კაპიტალი აფერხებდა მისი საწარმოო ძალების განვითარებას, ცდილობდა დაემკვიდრებინა ჩინეთის ეკონომიური ჩამორჩენილობა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ჩინელ ხალხს დაეკისრა ძნელი ისტორიული ამოცანა — მოკლე ვადაში მოესპო ეროვნული ეკონომიკის კოლონიური ხასიათი და შეექმნა თანამედროვე კომპლექსური მრეწველობა.

1953 წელს ჩინელი ხალხი შეუდგა პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას, რომლის მთავარი ამოცანაა შეიქმნას ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დაწყებითი საძირკველი. პირველი ხუთწლედის მანძილზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაჩაღდა 800-ზე მეტი დიდი სამრეწველო ობიექტის მშენებლობა, მათგან უმნიშვნელოვანესია 200-ზე მეტი საწარმო, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება.

1956 წელს ჩინეთის მრეწველობამ 1.200-ზე მეტი სახეობის ახალი პროდუქცია აითვისა. მათ შორის რეაქტიული თვითმფრინავები, სატვირთო ავტომობილები, ორთქლის ტურბინები, ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარხები, საფეიქრო დაზგები, ხიდური და კოშკური ამწევები, ორთქლის ქვაბები და საჰაერო კომპრესორები, მძლავრი ტრანსფორმატორები და ჰიდროტურბინები, ზუსტი ხელსაწყოები, მარცვლეულის კომბაინები და სხვ.

ჩინეთში მარტო შარშან ჩადგა მწყობრში 89 ახალი ქარხანა და ფაბრიკა, გაყვანილ იქნა 1.747 კილომეტრი რკინიგზა.

დიდი წარმატებებია მიღწეული სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში. მიუხედავად სტიქიური უბედურებისა, რამაც სერიოზული ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას, 1956 წელს ჩინეთში მოყვანილია 184 მილიონი ტონა მარცვლეული — 4,4 პროცენტით მეტი, ვიდრე 1955 წელს.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის საფუძველზე ხუთწლედის განმავლობაში მნიშვნელოვნად ამაღლდა ჩინელი ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე.

ჩინეთში ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვება იმას მოასწავებს, რომ საკითხი „ვინ ვის" გადაჭრილია სოციალიზმის სასარგებლოდ. ამიტომ ახლა ქვეყნის შიგნით, როგორც ნათქვამია ჩინეთის კომპარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებებში, პირველ პლანზე წამოყენებულია არა წინააღმდეგობანი სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, არამედ წინააღმდეგობანი მოწინავე სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობილებასა და ჩამორჩენილ საზოგადოებრივ საწარმოო ძალებს შორის. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩინეთში შეწყვეტილია კლასობრივი ბრძოლა.

ამხანაგი მაო ძე-დუნი თავის სიტყვაში „ხალხის შიგნით წინააღმდეგობათა სწორი გადაჭრის საკითხისათვის" აღნიშნავდა, რომ ჩინეთში უკვე დამთავრდა ქარიშხლისებური ფართო მასობრივი კლასობრივი ბრძოლა რევოლუციური პერიოდისა, მაგრამ კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის გრძელდება იდეოლოგიის დარგში.

1949 წლის ოქტომბერში ჩინეთის მუშათა კლასმა დაამხო იმპერიალიზმის, ფეოდალიზმისა და ბიუროკრატიული კაპიტალის ბატონობა; 1956 წელს მან ეკონომიურად დაამარცხა ჩინეთის ეროვნული ბურჟუაზია, რადგან ამ დროისათვის სოციალისტურმა გარდაქმნებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს მთელი ჩინეთის მასშტაბით. ახლა ჩინეთის მუშათა კლასის წინაში დგას ამოცანა — იდეოლოგიურად დაამარცხოს ეროვნული ბურჟუაზია.

ჩინეთის ეროვნულ ბურჟუაზიას აღარა აქვს ეკონომიური საფუძველი, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს სოციალიზმს. ამიტომ ბურჟუაზიასთან კლასობრივი ბრძოლის ფორმები და მეთოდები აგრეთვე შეიცვალა: იდეოლოგიური ბრძოლა კლასობრივი ბრძოლის ძირითადი ფორმა გახდა, ხოლო აღზრდა და დარწმუნება — ძირითადი მეთოდი სახალხო სახელმწიფოსა და კაპიტალისტურ ელემენტებს შორის წინააღმდეგობათა გადაჭრისას.

ახალ პირობებში, როცა ჩინეთში მოხდა უღრმესი სოციალურ-ეკონომიური ცვლილებანი, ხალხის შიგნით ძირითად წინააღმდეგობათა სწორი გადაჭრა ჩინეთის კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა გახდა.

1956 წლის დამლევს და 1957 წლის დამდეგს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წააწყდა ეკონომიურ სიძნელეებს ქალაქად და სოფლად.

საქმე კიდევ იმით გართულდა, რომ უკანასკნელ წლებში კომპარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა შეასუსტეს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მოსახლეობაში. პარტიული ორგანიზაციების, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ნაკლოვანებანი აძნელებდნენ ჩინელი ხალხის შემდგომ დარაზმვას სოციალიზმის მშენებლობისათვის საბრძოლველად.

ამ პირობებში ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ VIII ყრილობის მითითებათა შესაბამისად 1957 წლის მაისიდან განავითარა მოძრაობა მუშაობის სტილის მოწესრიგებისათვის.

კომპარტიამ ჩინელ ხალხს მიმართა მოწოდებით დახმარებოდა პარტიას, რომ კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის გზით გაეუმჯობესებინა მუშაობა ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში, აღეკვეთა დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან სოციალიზმის მშენებლობას. ჩინეთის მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიის ამ მოწოდებას, წამოაყენეს მრავალი წინადადება, რომელთა მიზანია სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესება.

ჩინეთის ბურჟუაზიის მემარჯვენე ელემენტებმა გადაწყვიტეს თავიანთი ანტისახალხო მიზნებისათვის გამოეყენებინათ მუშაობის სტილის მოწესრიგებისათვის ის მოძრაობა, რომელიც ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო. ჩინეთის კომპარტიის მიმართვა ხალხისადმი — დახმარებოდა საქმიანობის ნაკლოვანებათა გამოვლინებაში — მათ მიიჩნიეს კომპარტიის სისუსტის გამოვლინებად, შესაფერის მომენტად იმისათვის, რომ იერიში მიეტანათ მის წინააღმდეგ. ჩინეთის ბურჟუაზიის მემარჯვენე ელემენტების წარმომადგენლები გამოვიდნენ კომუნისტური პარტიისა და სოციალიზმის მშენებლობის იმ კურსის წინააღმდეგ, რომელსაც პარტია ახორციელებს. მემარჯვენეთა შთანაფიქრი ის იყო, რომ მოემზადებინათ პირობები, რათა ხელში ჩაეგდოთ მთავარი პოზიციები ჩინეთში იმ მიზნით, რომ მოესპოთ სოციალისტური მონაპოვარნი და დაებრუნებინათ კაპიტალიზმი.

ამრიგად, ბურჟუაზიული მემარჯვენე ელემენტები გამოვიდნენ სოციალისტური რევოლუციისა და მის მონაპოვართა წინააღმდეგ, ჩინეთის მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

მაგრამ ბურჟუაზიული მემარჯვენე ელემენტები სასტიკად მოტყუვდნენ: მათ აშკარად გადაჭარბებით შეაფასეს თავიანთი ძალები და ამავე დროს ჯეროვნად ვერ შეაფასეს მუშათა და გლეხთა მასებისა და ინტელიგენციის შეგნებულობის დონე.

მემარჯვენე ელემენტების ანტისოციალისტურ გამოსვლებს გადამწყვეტ და მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ ჩინელი ხალხის სულ უფრო ფართო ფენები. ჩინეთის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია მრისხანედ გმობენ მემარჯვენეთა გამოხდომებს, აცხადებენ, რომ მტკიცედ უჭერენ მხარს სოციალიზმის მშენებლობის კურსს, სავსებით ენდობიან ჩინეთის კომუნისტურ პარტიას. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩინელი ხალხი რაზმავს თავის ძალებს სოციალისტური მშენებლობის დიადი ამოცანების გადასაჭრელად.

სამუდამოდ წავიდა ის დრო, როცა ჩინეთი უცხოეთის იმპერიალიზმის ხელში თავშეუკავებელი ძარცვისა და ძალადობის ობიექტი იყო. ახლა ჩინეთი დიდი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომლის ხმას ყურს უგდებს მთელი კაცობრიობა.

საბჭოთა კავშირის მხარდამხარ, ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან ერთად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შეუპოვრად და დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცებისათვის. სახალხო ჩინეთის ძლიერება, რომელიც სულ უფრო მტკიცდება, საიმედოდ ემსახურება მშვიდობის საქმეს შორეულ აღმოსავლეთში, აზიასა და მთელ მსოფლიოში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელოვან წლისთავს მარტო ჩინელი ხალხი როდი დღესასწაულობს. მას ზეიმით აღნიშნავენ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხები, ახალი ჩინეთის მეგობრები მთელ მსოფლიოში.

ჩინეთის დიდ ეროვნულ დღესასწაულზე საბჭოთა ადამიანები მხურვალედ, სულით და გულით უსურვებენ ჩინელ ძმებს შემდგომ წარმატებებს ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში.

**ვ. სიდიხმენოვი.**

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე საერთო პოლიტიკური დისკუსიის დროს გამოვიდნენ ფილიპინების, ალბანეთის, ბირმისა და ეკვადორის წარმომადგენლები.

ფილიპინების დელეგატმა რომულომ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც აღსავსე იყო ბოროტი ცილისწამებით საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და „საერთაშორისო კომუნიზმის" წინააღმდეგ.

ფილიპინების წარმომადგენელმა გაილაშქრა ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვისა და ამ იარაღის გამოცდის შეწყვეტის წინააღმდეგ და დაიცვა ამერიკის სამხედრო ბაზების შენარჩუნება სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე და გამალებული შეიარაღების განგრძობა.

ალბანეთის დელეგაციის მეთაურმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეჰარ შტიულამ ხაზგასმით აღნიშნა საფრთხე გამალებული შეიარაღებისა, რომელიც გრძელდება და რომელიც გამოიწვია ცივი ომის პოლიტიკამ და აგრესიული სამხედრო ბლოკების შექმნამ. ყველა თანახმაა, თქვა მან, რომ განიარაღება თანამედროვეობის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის გადაჭრაზეც დამოკიდებულია კაცობრიობის ბედი.

მხარი დაუჭირა რა საბჭოთა კავშირის წინადადებას განიარაღების ნაწილობრივ ღონისძიებათა შესახებ, ალბანეთის დელეგატმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა გენერალურ ასამბლეაშიც კი არ მოითხოვეს ატომგულის იარაღის აკრძალვა, არამედ მხარი დაუჭირეს იმას, რომ ეს იარაღი სრულყოფილ იქნას და გაგრძელდეს მისი გამოცდა. დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებანი, თქვა მან, არ გვიჩვენებენ განიარაღების გზას. ამ წინადადებათა მიზანია შენიღბონ ის, რომ ამ ქვეყნებს არა სურთ დათანხმდნენ განიარაღებაზე.

შტიულამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ატომგულის იარაღის გამოცდის 2-3 წლით შეწყვეტის შესახებ სსრ კავშირის წინადადების მიღებას შეუძლია გაგვიხსნას სხვა შეთანხმებათა გზა განიარაღების დარგში და მობრუნების პუნქტი გახდეს მთელ საერთაშორისო მდგომარეობაში. ალბანეთის დელეგატმა მხარი დაუჭირა აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის წინადადებას ატომის რადიაციის შედეგთა შესწავლის შესახებ.

მხარი დაუჭირა რა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, ალბანეთის დელეგატმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ამ პრინციპებით ხელმძღვანელობს თავის მეზობლებსა და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში. მან მხარი დაუჭირა რუმინეთის წარმომადგენლის წინადადებას ბალკანეთის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ბირმის დელეგაციის მეთაურმა უ ტანმა მოითხოვა, რომ განიარაღების საკითხები პირველ რიგში განიხილოს გენერალური ასამბლეის ახლანდელმა სესიამ.

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის დღის პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ იემენის, თურქეთისა და კოსტა-რიკის დელეგატები.

იემენის დელეგატმა ჩამანდიმ სხდომას მოაგონა ღონისძიებანი, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო, როცა მოხდა ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, და ხაზი გაუსვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს კონფლიქტების ლიკვიდაციაში, თუ მისი წევრების უმრავლესობა მოქმედებს წესდების შესაბამისად. ეგვიპტის მაგალითმა, თქვა მან, ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ არაბთა ქვეყნებს თვითონ შეუძლიათ წარმატებით გადაჭრან თავიანთი საშინაო პრობლემები. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ის, რომ თავი დაგვანებონ კოლონიურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ცდილობენ შუღლი დათესონ არაბთა ქვეყნებს შორის.

ჩამანდიმ აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ამჟამად ყველაზე დიდმნიშვნელოვანია განიარაღების პრობლემა და შუა აღმოსავლეთის პრობლემები. მან დიდ სახელმწიფოებს მოუწოდა ყოველი ღონე იხმარონ, რათა მიაღწიონ შეთანხმებას შეიარაღების შემცირებისა და სამარი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების აკრძალვის შესახებ. როცა ასეთი შეთანხმება მიღწეულ იქნება, თქვა მან, ყველა ხალხს შეუძლია გულდამშვიდებით იმუშაოს თავის საქმეებზე, არ ეშინოდეს ომის კოშმარისა, თანამედროვე გამანადგურებელი იარაღის გამოყენებისა.

შემდეგ ჩამანდიმ განაცხადა, რომ დაძაბულობა ახლო და შუა აღმოსავლეთში გამოწვეულია „კოლონიურ სახელმწიფოთა ინტრიგებით, რომლებიც ცდილობენ ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ". არც ერთი არაბული სახელმწიფო, თქვა იემენის დელეგატმა, არასოდეს არ იომებს სხვა არაბული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ყველა ჩვენგანი მხარს დაუჭერთ ყოველ არაბულ ქვეყანას, რომელსაც თავს დაესხმიან გარედან.

იემენის წარმომადგენელმა დაწვრილებით ილაპარაკა ინგლისის აგრესიაზე მისი ქვეყნის წინააღმდეგ. ინგლისელები, თქვა მან, განაგრძობენ სამხრეთ იემენის უკანონო ოკუპაციას, ამით არღვევენ იემენის სუვერენიტეტს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. ინგლისის თვითმფრინავები ბომბავენ იემენის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს, მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ იყენებენ ტანკებს. თუ ინგლისმა არ შეწყვიტა აგრესიული მოქმედება ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ, თქვა ჩამანდიმ, ეს სერიოზულ შედეგებს გამოიწვევს.

იემენის დელეგატმა დაგმო ინგლისის აგრესია ომანის წინააღმდეგ. ინგლისის ჯარები, თქვა მან, ულმობლად ჟლეტდნენ უიარაღო ომანელ მოქალაქეებს მხოლოდ იმის გამო, რომ ეს მოქალაქენი ესწრაფვიან ეროვნულ დამოუკიდებლობას.

ჩამანდიმ დაგმო საფრანგეთის რეპრესიები ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ. საფრანგეთმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიგნოს, თქვა მან, რომ ალჟირის საკითხის გადასაჭრელად სხვა გზა არ არის, გარდა იმისა, რომ აღიაროს ალჟირის სრული დამოუკიდებლობა. მიუხედავად ყველა რეპრესიისა, ალჟირი მიაღწევს დამოუკიდებლობას. ამ საკითხის უსწრაფესი გადაჭრით დაინტერესებულია ყველა ხალხი, მათ შორის საფრანგეთის ხალხიც.

იემენის დელეგატმა მხარი დაუჭირა აგრეთვე მოთხოვნებს, რომ კოლონიური უღლისაგან განთავისუფლდნენ კვიპროსის, დასავლეთ ირიანის და სხვა კოლონიური ქვეყნების ხალხები და ტერიტორიები.

თურქეთის დელეგატი ს. ესინი არწმუნებდა სხდომას, რომ მისი მთავრობა არაბთა ქვეყნების და კერძოდ, სირიის „ძველისძველი მეგობარია." ამავე დროს იგი ცდილობდა სირიის საზღვარზე თურქეთის ჯარების კონცენტრაცია გაემართლებინა უშიშროების მოსაზრებებით". თურქეთის წარმომადგენელმა გაიმეორა დასავლეთის სახელმწიფოთა გაცვეთილი მტკიცებანი იმის შესახებ, თითქოს თურქეთს საფრთხე მოელოდეს საბჭოთა კავშირისაგან.

თურქეთის დელეგატი იცავდა აგრეთვე თურქეთის მონაწილეობას აგრესიულ ბლოკებში — ნატოსა და ბაღდადის პაქტში.

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია

პეკინი, 29 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სახალხო ჩინეთის დედაქალაქში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ა. ბ. არისტოვი. თვითმფრინავი დაეშვა სრულ 8 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით. სამხრეთ აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ფერადი ქსოვილებით, საბჭოთა პარლამენტარებს შეხვდნენ: სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა საბჭოს მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა საბჭოს მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ლინ ბო-ციუი, ლი ძი-შენი, შენ ძიუნ-ჟუ, ხუან იან-პეი, პინ ჯენი, ლი ვეი-ხანი, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ულანფუ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯან ვენ-ტიანი, საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

ამხანაგებმა ლიუ შაო-ციმ და არისტოვმა აეროდრომზე სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ლიუ შაო-ცისა და არისტოვის სიტყვების დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე ტაში და გამარჯვება უსურვეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობას.

დელეგაციასთან ერთად პეკინში ჩამოვიდა სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ფ. იუდინი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას აგრეთვე შეხვდნენ საელჩოს თანამშრომლები და საბჭოთა სპეციალისტები.

## საბჭოთა მეზღვაურები სირიაში

დამასკო, 29 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ჰალებიდან სირიის დედაქალაქ დამასკოში სირიის მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმის სარდალი, ვიცე-ადმირალი ვ. ფ. კოტოვი. ხომალდები მეგობრობის ვიზიტით იმყოფებიან სირიაში. ვიცე-ადმირალ კოტოვს თან ახლდნენ საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმის უფროსი ოფიცრები.

ვიცე-ადმირალმა ვ. ფ. კოტოვმა იმავე დღეს გაუკეთა ვიზიტი სსრ კავშირის დროებით საქმეთა რწმუნებულს სირიაში ნ. ს. ვასილენკოს. ამ შეხვედრას დაესწრნენ აგრეთვე სირიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ბიზრი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე გენერალი ნეფური, გენერალური შტაბის მეორე განყოფილების უფროსი პოდპოლკოვნიკი სარაჟი და სირიის გენერალური შტაბის სხვა ემაღლესი ოფიცრები.

როგორც ჰალებიდან იუწყებიან, 27 სექტემბერს იქ ქალაქის სტადიონზე გაიმართა ბალტიის ფლოტის მატროსული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. კონცერტმა, რომელსაც 40 ათასზე მეტი კაცი დაესწრო, უდიდესი წარმატებით ჩაიარა.

## ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენარული სხდომა

ვენა, 29 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ფოლკსშტიმე" იუწყება, რომ 27 და 28 სექტემბერს გაიმართა ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენარული სხდომა.

სხდომაზე ერთხმად მიღებული იქნა ცნობად ფრანც მარეკის მოხსენება ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოღვაწეობის შესახებ.

ფრანც ჰონერმა გააკეთა მოხსენება ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შესახებ.

იოჰან კოპლენიგმა მოხსენება გააკეთა მთელი მსოფლიოსა და ავსტრიისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობისა და ავსტრიის კომპარტიის ამოცანების შესახებ ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით. ვალტერ ვაქსმა გააკეთა მოხსენება ახალგაზრდობასთან მუშაობაში კომუნისტების ამოცანებისა და ორგანიზაცია „თავისუფალი ავსტრიელი ახალგაზრდობის" სრულიად ავსტრიის ყრილობისათვის მზადების შესახებ. მოხსენებათა გამო მიღებულ იქნა სათანადო გადაწყვეტილებანი.

## ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირი

1957 წლის 25-დან 27 სექტემბრამდე პრაღაში „ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ამა წლის ივნისში ვარშავაში გამართული სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მოეწყო ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო ორგანოების ხელმძღვანელთა თათბირი. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში მოწყობილი თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოს მონაწილე ქვეყნების საგეგმო ორგანოების, დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელმა მუშაკებმა და ექსპერტებმა.

თათბირმა, რომელმაც სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა, განიხილა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების პერსპექტიული გეგმების უფრო ხანგრძლივი პერიოდით (10-15 წლით) შემუშავებასა და კოორდინაციასთან, და დასახა ღონისძიებანი, რომლებიც შეესაბამება ამ გეგმების კოორდინაციისათვის მუშაობის უფრო წარმატებით მოწყობას.

# ლენინგრადის ხელოვნების ოსტატთა გასტროლები



რუსული ესტრადის ცნობილი ვეტერანის, რსფსრ დამსახურებული არტისტის პეტრე მურავსკისა და გამოჩენილი საბჭოთა საოპერო მომღერლის რსფსრ დამსახურებული არტისტის ბორის გეფტის სახელები პოპულარობით სარგებლობს ქართველ მაყურებელთა შორის. პ. მურავსკი, რომელმაც შემოქმედებითი მოღვაწეობა ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე დაიწყო, ხანდაზმულობის მიუხედავად (73 წელი) დღემდე ინტენსიურად განაგრძობს მუშაობას ესტრადაზე როგორც სატირიკოს-იუმორისტი. მას არა ერთხელ გაუმართავს კონცერტები თბილისში.

ჩვენი მსმენელი კარგად იცნობს ლენინგრადელ ბორის გეფტსაც, რომელიც ბევრჯერ ყოფილა გასტროლებზე თბილისში და მონაწილეობა მიუღია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საოპერო სპექტაკლებში.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ლენინგრადის ხელოვნების მოღვაწეების ესტრადის ოსტატის პ. მურავსკისა და დრამატული ტენორის ბორის გეფტის კონცერტებს, რომლებიც ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრებში იმართებოდა, მრავლად ესწრებოდნენ თბილისის მუსიკალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და ხელოვნების მოყვარულები.

თბილისელ მაყურებლებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა პეტრე მურავსკის იუმორისტულმა და სატირულმა ნომრებმა, რომლებიც ძლიერია თავისი ღრმა იდეური შინაარსით და დახვეწილი მხატვრული დეტალებით. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ნომრების ლიტერატურული ტექსტი დაწერილია თვით პ. მურავსკის მიერ. დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე მომღერალ ბორის გეფტს, რომელიც ფართო და მრავალფეროვანი რეპერტუარით გამოვიდა.

**დ. გველესიანი.**

სურათზე: პეტრე მურავსკი ესტრადაზე.

## «საქართველოს კომუნისტი» № 9

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი" № 9.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: მოწინავე — ღრმად, შემოქმედებითად შევისწავლოთ მარქსისტულ-ლენინური თეორია. სტატიები — ნ. ხრუშჩოვი — ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის; ზ. სიმონიშვილი — ოქტომბრის რევოლუციის გადამწყვეტი გავლენა ჩინეთის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაზე; ა. სურგულაძე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ამიერკავკასიის კომუნისტების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის; ა. ბილანიშვილი — დაპირისპირებულთა ბრძოლა როგორც განვითარების პროცესის შინაგანი შინაარსი; ა. კალანდარიშვილი, დ. კაკაბაძე — გავაუმჯობესოთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა.

პარტიული ცხოვრების განყოფილებაში მოთავსებულია: გ. სანაკოევი — წარმატებით განვახორციელოთ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი; პ. გილაშვილი — ახლებურად გარდავქმნათ პარტიული აპარატის მუშაობა; გ. ოქრუაშვილი — პოლიტიკური განათლების კაბინეტი ამ დღეებში; ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების სანიმუშო თემატიკა.

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში დაბეჭდილია: დ. გვრიტიშვილი — წიგნი რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე. ჟურნალში არის აგრეთვე პარტიული ქრონიკა.

## საერთაშორისო შეხვედრები

რუმინეთში სტუმრად იმყოფება სტალინოს „შახტიორის" ფეხბურთელთა კოლექტივი. პირველი მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებმა გამართეს რუმინეთის მეორე ნაკრებთან და წააგეს დიდი ანგარიშით 2:7. მეორე შეხვედრა სტუმრებმა მოაწყეს „ენერგიის" წინააღმდეგ და გაიმარჯვეს 4:0.

## სსრ კავშირის პირველობაზე

„ა" კლასი

მოსკოვში გაიმართა მატჩი ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. თამაშობდნენ დედაქალაქის „ტორპედოს" და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდები. შეხვედრა მოიგეს ტორპედოელებმა 4:1.

„ბ" კლასი

თბილისის საოლქო სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა გუნდმა მორიგი შეჯიბრება გამართა სტალინაბადში ადგილობრივ „უროჟაისთან" და მოიგო მატჩი 3:0.

* * *

ქუთაისის „ლოკომოტივისა" და ტაშკენტის „პახტაკორის" მატჩი დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

## ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ივანე კონსტანტინეს-ძე ზამჩევსკი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ პავლეს-ძე ფირიუბინი გაათავისუფლა იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

რედაქტორის მოადგილე **რ. ქურციკიძე.**

---

**სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული „გლავნეფტესბიტის" საქართველოს სამმართველო და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო**

საქართველოს სსრ ყველა ორგანიზაციას აცნობებენ, რომ „გლავნეფტესბიტის" საქართველოს სამმართველოს ნავთობბაზებიდან და საწყობებიდან ნავთობპროდუქტების მიღებისას ისინი ვალდებული არიან დაიცვან შემდეგი ხანძარსაწინააღმდეგო წესები:

1. ნავთობბაზისა და საწყობის ტერიტორიაზე მოქალაქეებისა და ტრანსპორტის შეშვება ნებადართულია მხოლოდ სათანადო საშვებით.
2. ავტოცისტერნს, რომელიც სპეციალურად განკუთვნილია გამჭვირვალე ნავთობპროდუქტების (ბენზინი, ნავთი, სადიზელე სათბობი) გადასაზიდად, უნდა ჰქონდეს:
   - ა) ხელსაწყო ჩამიწებისათვის, როზეტი ან მანქველიანი ლითონის ჯაჭვი;
   - ბ) სახშობი ცისტერნის ქვემოდან გადატანილი უნდა იყოს ძრავას ან რადიატორის ქვეშ;
   - გ) ნომრის ნიშნის გასაშუქებელი ელექტროფარანი კაბინის ზედა ნაწილზე უნდა იყოს გაკეთებული.
3. ავტომანქანა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ორი № 3 ცეცხლსაქრობით და ქეჩით, ხოლო საჭაპანო ტრანსპორტი — ერთი № 3 ცეცხლსაქრობით.
4. ავტოტრანსპორტი უნდა იყოს წესიერულ მდგომარეობაში, ჰქონდეს სათანადო დოკუმენტი სახელმწიფო ავტოინსპექციისაგან.
5. კასრები რომ არ გორაობდნენ და თავიდან იქნას აცილებული შესაძლებელი მირტყმა რკინისა რკინაზე, საზიდრებსა და ავტომანქანებზე უნდა იყოს ქვესადებები, რათა შეიძლებოდეს კასრების დალაგება ერთ იარუსად.
6. ლითონის კასრებს უნდა ჰქონდეს კარგად მორგებული რკინის კუთხეილი შუასადებიანი საცობები.
7. ლითონის საცობების მისახრახნად იყენებენ მოსპილენძებულ ან ავტოლით სქლად გაპოხილ გასაღებს.

**ნავთობბაზების და საწყობების ტერიტორიაზე კატეგორიულად აკრძალულია:**

1. ავტომანქანების გაწყობა საწვავ-საცხები მასალებით;
2. გაზგენერატორული ავტომანქანების შესვლა;
3. თამბაქოს მოწევა და ღია ცეცხლის გამოყენება (ასანთი, სანთია და სხვ.);
4. ავტომანქანების რემონტი;
5. ავტომანქანების მიყენება გამნაწილებელთან გვერდითი ქიმით და ძრავათი, აგრეთვე გაჩერება მთავარ გასასვლელებში;
6. მძღოლის გამოსვლა ავტომანქანის კაბინიდან;
7. ძრავას ჩართვა;

შენიშვნა: გაჩერებულძრავიანი ავტომანქანა ბუქსირით წაყვანილ უნდა იქნას ოპერატიული მოედნიდან მეორე ავტომანქანის დახმარებით ან გაგორებულ იქნას ადამიანების მიერ.

8. ჩასასხმელი შლანგის რკინის ბუნიკების, გასაღების, ჩაქუჩის დარტყმა კასრზე;
9. რკინის კასრების დალარვა და გორება რკინის ფილებზე, რელსებზე, ქვაფენილზე და ა. შ.;
10. რკინის კასრების ჩამოგდება მიწაზე საზიდრებიდან, ავტომანქანებიდან და სხვადასხვა ბაქნებიდან;
11. რკინის კასრებისათვის ხის საცობების გამოყენება;
12. ნავთობპროდუქტების დაღვრა და ბაზის ჩახერგვა;
13. გამჭვირვალე ნავთობპროდუქტების გაცემა ხის, შუშის და უწესივრო ლითონის ტარით;
14. უწესივრო ავტომანქანით შესვლა;
15. ადვილაალებადი მასალით (თივით, ჩალით, ნახერხით და სხვ.) დატვირთულ ტრანსპორტის შესვლა.

თუ დაცული არ იქნება ზემოთ აღნიშნული წესები, ნავთობპროდუქტები არ გაიცემა.

ის პირები, რომლებსაც ბრალი დაედებათ ამ წესების და სახანძრო უშიშროების მოთხოვნების დარღვევასა ან შეუსრულებლობაში, მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად შემდეგ სპეციალობებზე:

1. რუსთველოლოგია — 1 საშტატო ერთეული;
2. ქართული საბჭოთა ლიტერატურა — 1 საშტატო ერთეული;
3. ლიტერატურის თეორია — 1 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: ა) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ბ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის, სამეცნიერო ხარისხის ან წოდების მინიჭების დიპლომის (ატესტატის) შემოწმებული პირები, გ) ავტობიოგრაფია, დ) დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, ე) სამეცნიერო შრომების სია, ამ შრომების რეცენზიები და მთავარი დაბეჭდილი შრომები.

კონკურსის ვადაა ორი კვირა ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8, მეოთხე სართული.

---

6-დან 12 ოქტომბრამდე ეწყობა
„წერილის საერთაშორისო კვირეული"

არ დაგავიწყდეთ წერილის მიწერა თქვენი მშობლების, ნაცნობებისა და მეგობრებისათვის.

ისარგებლეთ საფოსტო კავშირგაბმულობით!

**საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო.**

---

## ტელეგადაცემათა პროგრამა

1 ოქტომბრისათვის

20.00 — კონცერტი ტელემაყურებელთა დაკვეთით. 20.35 — კინოჟურნალი. 20.45 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მე-8 წლისთავის აღსანიშნავად ჩინური მხატვრული ფილმი — „პროფესორ ძიანის ოჯახი".

---

თბილისის „დინამოს" სტადიონი

1 და 2 ოქტომბერს

**კ ა ლ ა თ ბ უ რ თ ი**

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

**რუმინეთი — საქართველო**

თამაშის კალენდარი:

1 ოქტომბერს

„ლოკომოტივი" (ბუქარესტი) — სპი (თბილისი)

ქალები

დასაწყისი 6 ს. 30 წ.

„ლოკომოტივი" (ბუქარესტი) — სპი (თბილისი)

ვაჟები

დასაწყისი 8 საათზე.

2 ოქტომბერს

„ლოკომოტივი" (ბუქარესტი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი)

ქალები

დასაწყისი 6 ს. 30 წ.

„ლოკომოტივი" (ბუქარესტი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი)

ვაჟები

დასაწყისი 8 საათზე.

შეხვედრების გახსნა 1 ოქტომბერს 6 საათზე. ბილეთები წინასწარ გაიყიდება დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში. წვიმის შემთხვევაში თამაში გადატანილი იქნება. ამ შეჯიბრებაზე აღებული ბილეთები ძალაში დარჩება.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. კარტოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელი — 1 განაკვეთი (გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი).
2. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი სპელეოლოგიაში — 1 განაკვეთი (მეცნიერებათა კანდიდატი).
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ეკონომიურ გეოგრაფიაში — 1 განაკვეთი (მეცნიერებათა კანდიდატი).

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს სათანადო საბუთები ორ ცალად.

კონკურსის ვადაა ორი კვირა ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: თბილისი, ფურცელაძის ქ. № 7, ტელ. 3-37-02.

---

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

**სეზონის გახსნა**

ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს და პარასკევს, 4 ოქტომბერს

პრემიერა

რ. თაბუკაშვილი

**„გაზაფხულის ნიაღვარი"**

პიესა 3 მოქმ. 9 სურათად

დადგმა ლ. იოსელიანისა, მხატვარი ი. სუმბათაშვილი (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი), კომპოზიტორი ა. ჩიმაკაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

---

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

საზაფხულო თეატრი

(პლეხანოვის პროსპ. № 123)

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლები

სამშაბათს, 1 ოქტომბერს

რ. ებრალიძე

**ნ ა ნ ა**

დრამა 4 მოქმედებად

ოთხშაბათს, 2 ოქტომბერს

ვ. კანდელაკი

**მ ა ი ა წ ყ ნ ე თ ე ლ ი**

ჰეროიკული კომედია 4 მოქმედებად.

ბილეთები იყიდება.

სპექტაკლების დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

---

მეუღლე რაისა, შვილები გიული, ლია, სიძე ვ. გაჩეჩილაძე ოჯახით იუწყებიან

**აკაკი ვიქტორის-ძე თაბუკაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-X, ზესტაფონში. გამოსვენება ჯაფარიძის ქ. № 1.

---

დედა ედუკი, მეუღლე ნინო, დები მარგალიტა, თინა, ანა, სიძეები ა. გიორგაია, ა. ბოჭორიშვილი ოჯახებით იუწყებიან

**დავით ნოეს-ძე ძნელაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-X, ქუთაისში, გამოსვენება მე-7 შესახვ. № 5.

---

ძმა ვიქტორ, და ალისა, რძლები ელპიტი, მინადორა, ნინო, სიძე იასონ ჭოხონელიძე; ბაქო, ელენე, ბიძინა, მიხეილ, თინა ფრუიძეები, დოდო, გიული ჭოხონელიძეები ოჯახებით იუწყებიან

**კოლია ნიკოლოზის-ძე ფრუიძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 1-X, 5 ს. ბინიდან, ფეოდოროვის ქ. № 13.

---

დედა ფუშაკი, მამა ვალერიან, მეუღლე გოგონა, შვილები მერი, ზურაბ, ძმა არჩილ, რძალი ნელი ოჯახებით იუწყებიან

**თემურ ვალერიანეს-ძე კვარაცხელიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-X, სოფ. გუდავაში (გალის რ.).

---

ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ინფექციური კათედრის თანამშრომლები იუწყებიან

**ვაჟა ვალერიანის-ძე გაფრინდაშვილის**

გარდაცვალებას.

---

მეუღლე ანა, შვილები ნუნუ, ეთერ, დები თებრონე, თამარ, სოფიო, ძმა ავქსენტი, სიძეები ა. კალანდარიშვილი, ფ. კახიძე ოჯახებით იუწყებიან

**ნიკიტა ალექსანდრეს-ძე ჟორდანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-X, 8 ს. გამოსვენება 3-X, 5 ს. გრიბოედოვის ქ. № 29.

---

შვილები ვალერიან, ლევან, პეტრე, რძლები ვერიჩკა, შუშანა, თინა, ვარა, ძმა შალვა ოჯახით; თამარ, გოგი, სოსო, ავთანდილ მშვილდაძეები; სიძე ვ. ხოტენაშვილი იუწყებიან

**კალენიკე დარისპანის ასულ სამხარაძე-მშვილდაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-X, 5 ს. სოფ. ობჩაში (მაიაკოვსკის რ.).

---

მეუღლე ნინო, შვილები ოთარ, გივი, რძლები ლუდა, ნანა, დები თეკლე, ნინო, ნატალია, ელენე, ანა ოჯახებით იუწყებიან

**შალვა სოლომონის-ძე ბაგრატიონის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-X, 8 ს. გამოსვენება 3-X, 5 ს. საქართველოს სამხედრო გზა № 72 (ხაზურთალი).

---

მეუღლე ეფემია, შვილი ნატალია შვილებით, სიძე ზ. ცინცაძე იუწყებიან

**ალმასხან გრიგოლის-ძე კალანდაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათუმში, გამოსვენება 3-X, 5 ს. ტელმანის ქ. № 52.

უე 04036 — საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.